თავი II
2014 წლის იანვარ-მარტის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

ეკონომიკური ზრდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2014 წლის იანვარ-მარტში მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან 7.4 პროცენტი შეადგინა. რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი იანვარში 8.2 პროცენტი, თებერვალში 5.6 პროცენტი, ხოლო მარტში 8.3 პროცენტი იყო.

ფასები

2014 წლის მარტში თებერვალთან შედარებით სამომხმარებლო ფასები შემცირდა 0.1 პროცენტით, ხოლო 2013 წლის დეკემბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 0.9 პროცენტით გაიზარდა.

2014 წლის მარტში 2013 წლის მარტთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 3.5 პროცენტით გაიზარდა. 2013 წლის შესაბამის პერიოდში ინფლაციის მაჩვენებელი (-2.1) პროცენტი იყო.

12 თვიან ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის ორმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა. სურსათმა და უალკოჰოლო სასმელებმა სამომსხმარებლო ფასები 1.7 პროცენტით, ხოლო საცხოვრებელი სახლი, წყალი, ენერგია, აირმა 0.9 პროცენტით გაზარდეს.

გაცვლითი კურსი

2014 წლის იანვარ-მარტში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ მცირე რყევებით ხასიათდებოდა. 2014 წლის მარტში 2013 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის საშუალო თვიური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 1.64 პროცენტით გაუფასურდა და 1.741 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე.

მონეტარული აგრეგატები

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2014 წლის მარტში 2013 წლის დეკემბერთან შედარებით M3 ფართო ფულის აგრეგატი 2.9 პროცენტით შემცირდა და 9 555.3 მლნ ლარის ექვივალენტი შეადგინა, ხოლო M2 ფულის მასა 7.3 პროცენტით შემცირდა და 5 023.3 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა.

2014 წლის იანვარ-მარტში მთლიანი დეპოზიტები 1.3 პროცენტით შემცირდა, მათ შორის დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 6.1 პროცენტით შემცირდა, ხოლო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 2.6 პროცენტით გაიზარდა.

2014 წლის პირველ კვარტალში 2013 წლის დეკემბერთან შედარებით M3 მულტიპლიკატორი 0.15 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 2.61 დაფიქსირდა, ხოლო M2 მულტიპლიკატორმა 2014 წლის მარტში 1.37 შეადგინა.

2014 წლის მარტში, წინა წლის დეკემბერთან შედარებით დოლარიზაციის კოეფიციენტი 2.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა 57.8 პროცენტს გაუტოლდა.

საგარეო სექტორი

2014 წლის იანვარ-მარტში საგარეო სავაჭრო ბრუნვა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18 პროცენტით გაიზარდა და 2 523 მლნ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი 696 მლნ დოლარი იყო, ხოლო იმპორტი 1 827 მლნ დოლარი, რაც შესაბამისად, 23 პროცენტით და 16 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

საქონელბრუნვის მიხედვით საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი 2014 წლის იანვარ-მარტის მონაცემებით მთლიანი საქონელბრუნვის 14.6 პროცენტს შეადგენდა. მას მოსდევს აზერბაიჯანი 12.7, რუსეთი 7.5, უკრაინა 6.7 და ჩინეთი 6.6 პროცენტული წილებით და ა.შ.

ექსპორტში 20.9 პროცენტით პირველ ადგილზე აზერბაიჯანია, მეორეზე სომხეთი 10.8 პროცენტით, მესამეზე რუსეთი 9.7 პროცენტით, მეოთხეზე უკრაინა 8.1 პროცენტით და ა.შ. იმპორტში პირველი ადგილი თურქეთს უჭირავს 17.5 პროცენტით, შემდეგ მოდიან აზებაიჯანი 9.5 პროცენტი, ჩინეთი 8.5 პროცენტი და ა.შ.

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზე მსუბუქი ავტომობილებია 21.8 პროცენტით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: ფეროშენადნობები 10.0 პროცენტი, სპილენძის მადნები და კონცენტრატები 7.4 პროცენტი, ყურძნის ნატურალური ღვინოები 6.8 პროცენტი, აზოტოვანი სასუქები 6.6 პროცენტი და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, რომელსაც მთლიან იმპორტში 10.4 პროცენტიანი წილი უკავია. შემდეგ მოდიან: მსუბუქი ავტომობილები 8.2 პროცენტი, ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები 7.0 პროცენტი, სამკურნალო საშუალებები 3.5 პროცენტი და ა.შ.

ინფორმაცია საქართველოს 2014 წლის იანვარ-მარტის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულების შესახებ

საანგარიშო პერიოდის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 843 282.0 ათასი ლარით, ხოლო მობილიზებულ იქნა 1 825 097.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 99.0%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 680 900.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 1 701 082.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101.2%.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 51 837.0 ათასი საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 3 738.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 7.2%.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 110 545.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 120 276.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 108.8%.

საქართველოს 2014 წლის იანვარ-მარტის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	ნაერთი ბიუჯეტი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**1,843,282.0**	**1,825,097.6**	**-18,184.4**	**99.0**
გადასახადები	**1,680,900.0**	**1,701,082.4**	**20,182.4**	**101.2**
საშემოსავლო გადასახადი	447,200.0	474,720.4	27,520.4	106.2
მოგების გადასახადი	248,000.0	252,157.1	4,157.1	101.7
დამატებული ღირებულების გადასახადი	764,100.0	758,778.1	-5,321.9	99.3
აქციზი	159,000.0	159,031.3	31.3	100.0
იმპორტის გადასახადი	22,700.0	23,000.4	300.4	101.3

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	ნაერთი ბიუჯეტი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
ქონების გადასახადი	33,400.0	27,561.5	-5,838.5	82.5
სხვა გადასახადი	6,500.0	5,833.7	-666.3	89.7
გრანტები	**51,837.0**	**3,738.5**	**-48,098.5**	**7.2**
სხვა შემოსავლები	**110,545.0**	**120,276.7**	**9,731.7**	**108.8**

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 48 801.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (23 900.0 ათასი ლარი) 204.2%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 12 353.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (12 300.0 ათასი ლარი) 100.4%-ია.

ინფორმაცია საქართველოს 2014 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულების შესახებ

საანგარიშო პერიოდის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 744 417.0 ათასი ლარით, ხოლო მობილიზებულ იქნა 1 695 597.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 97.2%.

საქართველოს 2014 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**1 744 417.0**	**1 695 597 .0**	**-48 820.0**	**97.0**
გადასახადები	1 618 300.0	1 639 323.4	21 023.4	101.3
გრანტები	51 837.0	3 207.3	-48 629.7	6.2
სხვა შემოსავლები	74 280.0	53 066.3	-21 213.7	71.4

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 618 300.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 1 639 323.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101.3%.

სახელმწიფო ბიუჯეტში სახეების მიხედვით ცალკეული გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 440 529.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (418 000.0 ათასი ლარი) 105.4%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 252 157.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (248 000.0 ათასი ლარი) 101.7%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 758 778.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (764 100.0 ათასი ლარი) 99.3%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 159 031.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (159 000.0 ათასი ლარი) 100.0%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 23 000.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (22 700.0 ათასი ლარი) 101.3%-ია.

- სხვა გადასახადის სახით მობილიზებულია 5 827.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (6 500.0 ათასი ლარი) 89.7%-ია.

საქართველოს 2014 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
გადასახადები	**1,618,300.0**	**1,639,323.4**	**21,023.4**	**101.3**
საშემოსავლო გადასახადი	418,000.0	440,529.0	22,529.0	105.4
მოგების გადასახადი	248,000.0	252,157.1	4,157.1	101.7
დამატებული ღირებულების გადასახადი	764,100.0	758,778.1	-5,321.9	99.3
აქციზი	159,000.0	159,031.3	31.3	100.0
იმპორტის გადასახადი	22,700.0	23,000.4	300.4	101.3
სხვა გადასახადი	6,500.0	5,827.6	-672.4	89.7

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 51 837.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 3 207.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 6.2% (ხარჯებზე მიბმული გრანტები).

დასახელება	2014 წლის გეგმა	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
გრანტები	**143,980.0**	**3,207.3**
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული	**41,930.0**	**376.9**
მიმდინარე დანიშნულების გრანტები	**30,000.0**	**0.0**
EC	**30,000.0**	**0.0**
დევნილთა სამოქმედო გეგმის მხარდაჭერა: IV ნაწილი	7,200.0	0.0
სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა II (Criminal Justice)	10,800.0	0.0
სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამა	12,000.0	0.0
კაპიტალური დანიშნულების გრანტები	**11,930.0**	**376.9**
CNF	**1,050.0**	**0.0**
დაცული ტერიტორიების განვითარება (CNF)	1,050.0	0.0
EC	**3,280.0**	**62.8**
სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 0-კმ 50 მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობა (EIB, EC)	0.0	62.8
ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EC)	3,280.0	0.0
IFAD	**200.0**	**47.3**
სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტი (IFAD)	200.0	47.3
SIDA	**7,400.0**	**266.9**
საკანალიზაციო სისტემების მდგრადი მართვი (SIDA)	7,400.0	266.9
უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული	**102,050.0**	**2,830.4**
მიმდინარე დანიშნულების გრანტები	**29,650.0**	**1,510.2**
KfW	**550.0**	**0.0**
დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში – საქართველო (ეკორეგიონული პროგრამა – საქართველო, ფაზა III) (KfW)	550.0	0.0

დასახელება	2014 წლის გეგმა	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
MCC	**29,100.0**	**1,510.2**
ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს - მეორე პროექტი (MCC)	29,100.0	1,510.2
განათლების ქვეპროექტები (MCC	23,270.0	1,042.1
პროგრამის ადმინისტრირება (MCC	5,830.0	468.1
კაპიტალური დანიშნულების გრანტები	**72,400.0**	**1,320.1**
KfW	**18,020.0**	**1,320.1**
ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია (II ფაზა) (KfW)	1,200.0	186.7
ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია (III ფაზა) (KfW)	8,800.0	938.9
ბუნების დაცვის პროგრამა „სამხრეთი კავკასია–საქართველო–ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნა საქართველოში“ (KfW)	2,600.0	0.0
იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში (KfW)	5,420.0	194.5
USAID	**54,380.0**	**0.0**
ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარება (USAID)	16,300.0	0.0
ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (USAID)	38,080.0	0.0

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 74 280.0 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 53 066.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 71.4%.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- **საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 3 373.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 000.0 ათასი ლარი) 84.3%-ია. აქედან,

  პროცენტები - 3 160.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 400.0 ათასი ლარი) 131.7%-ს შეადგენს.

  დივიდენდების სახით მობილიზებულია 51.5 ათასი ლარი.

  რენტის სახით მობილიზებულია 162.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 600.0 ათასი ლარი) 10.1%-ია.

- **საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** მობილიზებულია 17 933.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (22 180.0 ათასი ლარი) 80.9%-ია. აქედან,

  ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით - 17 350.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (21 840.0 ათასი ლარი) 79.4%-ია. მათ შორის:

  - სალიცენზიო მოსაკრებელი - 220.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (140.0 ათასი ლარი) 157.8%-ია;
  - სანებართვო მოსაკრებელი - 12 499.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (17 500.0 ათასი ლარი) 71.4%-ია. აღნიშნული კლება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ერთ-ერთი სამორინეს მიერ სანებართვო მოსაკრებლის (5 მლნ ლარი) გადახდა განხორციელდება მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში.
  - სარეგისტრაციო მოსაკრებელი - 257.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (190.0 ათასი ლარი) 135.2%-ია;
  - სახელმწიფო ბაჟი - 3 874.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 400.0 ათასი ლარი) 113.9%-ია;

- საკონსულო მოსაკრებელი - 296.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (360.0 ათასი ლარი) 82.3%-ია;
- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 156.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (130.0 ათასი ლარი) 120.5%-ია.
- სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლების სახით მობილიზებულია 45.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (120.0 ათასი ლარი) 37.8%-ია.

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან - 582.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (340.0 ათასი ლარი) 171.4%-ია. მათ შორის:

- საქონლის რეალიზაციიდან - 75.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (40.0 ათასი ლარი) 189.8%-ია;
- მომსახურების გაწევიდან - 506.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (300.0 ათასი ლარი) 168.9%-ია;

- **სანქციების (ჯარიმები და საურავები)** სახით მობილიზებულია 17 039.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (17 000.0 ათასი ლარი) 100.2%-ია.

- **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 14 704.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (31 100.0 ათასი ლარი) 47.3%-ია. აღნიშნული კლება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პირველ კვარტალში გათვალისწინებული იყო სსიპ-ების მოგების ჩარიცხვები, თუმცა დაგეგმილი თანხების სრულად ჩარიცხვა ვერ განხორციელდა. დარჩენილი თანხების ჩარიცხვები განხორციელდება მიმდინარე წლის მომდევნო კვარტლებში.

საქართველოს 2014 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
სხვა შემოსავლები	**74,280.0**	**53,066.3**	**-21,213.7**	**71.4**
შემოსავლები საკუთრებიდან	**4,000.0**	**3,373.8**	**-626.2**	**84.3**
პროცენტები	**2,400.0**	**3,160.0**	**760.0**	**131.7**
დივიდენდები		**51.5**	**51.5**	
რენტა	**1,600.0**	**162.4**	**-1,437.6**	**10.1**
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**22,180.0**	**17,933.1**	**-4,246.9**	**80.9**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**21,840.0**	**17,350.4**	**-4,489.6**	**79.4**
სალიცენზიო მოსაკრებლები	140.0	220.9	80.9	157.8
სანებართვო მოსაკრებლები	17,500.0	12,499.7	-5,000.3	71.4
სარეგისტრაციო მოსაკრებლები	190.0	257.0	67.0	135.2
სახელმწიფო ბაჟი	3,400.0	3,874.0	474.0	113.9
საკონსულო მოსაკრებელი	360.0	296.4	-63.6	82.3
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	130.0	156.6	26.6	120.5
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	120.0	45.8	-74.2	38.1
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**340.0**	**582.8**	**242.8**	**171.4**
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	40.0	75.9	35.9	189.8

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	300.0	506.8	206.8	168.9
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	**17,000.0**	**17,039.0**	**39.0**	**100.2**
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა		**16.1**	**16.1**	
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	**31,100.0**	**14,704.1**	**-16,395.9**	**47.3**

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 38 206.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (20 500.0 ათასი ლარი) 186.4%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 12 026.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (12 300.0 ათასი ლარი) 97.8%-ია.

გარდა ამისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე აღრიცხულია 6 759.8 ათასი ლარი, საიდანაც 6 664.1 ათასი ლარი წარმოადგენს წინა წლების გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებას, ხოლო 95.7 ათასი ლარი – გაურკვეველ თანხებს, რომლებიც დაზუსტების შემდგომ მიიმართება დანიშნულებისამებრ.